საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„მოდი, ვნახოთ ვენახი“

„მოდი, ვნახოთ ვენახი“, პოპულარული ხალხური ლექსი, ამ ლექსში ჩამოთვლილი საგნები და ცხოველები ერთმანეთს ემტერებიან, ებრძვიან და ანადგურებენ: ვენახს თხა ჭამს, თხას – მგელი; მგელს ანადგურებს თოფი, თოფს – ჟანგი, ჟანგს – მიწა და ა. შ. ლექსი კუმულაციის ხერხითაა დამუშავებული. წარმოშობით მევენახეობა-მეღვინეობის ღვთაების სადიდებელ ჰიმნთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. მსგავსი სიუჟეტი მრავალი ხალხის ფოლკლორშია ცნობილი.

ლიტ.: ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი ა., ნარკვევები ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1948.

ფ. ზანდუკელი